ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №179

ქ. თბილისი **27 დეკემბერი, 2018 წელი**

ერთის მხრივ, დმანისის მუნიციპალიტეტი (შემდგომში "შემსყიდველი") წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მერის გიორგი ტატუაშვილის სახით და მეორეს მხრივ შ.პ.ს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი" (შემდგომში "მიმწოდებელი") წარმოდგენილი შ.პ.ს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი"-ს მინდობილი პირის დავით თეთვაძის (პ/ნ 01025006491 თანახმად 02.02.2018 წლის მინდობილობისა ინდ.#17000229921718, რეგ.#180105707) სახით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს №17939 (25.12.2018წ) და №17938 (25.12.2018წ) თანხმობის საფუძველზე, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, სახელმწიფო სახსრების ხარჯვის პრინციპის გათვალისწინებით, ვდებთ წინამდებარე ხელშერულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1 "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომში - "ხელშეკრულება") შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად ქართულ ენაზე. აქედან ერთი ეგზემპლიარი გადაეცემა მიმწოდებელს, ერთი-შემსყიდველს.

1.2 "ხელშეკრულების ღირებულება" - ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ.

1.3 "დღე", "კვირა", "თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 "შემსყიდველი" - ორგანიზაცია რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 "მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 "საქონელი" - ხელშეკრულების მე-2 მუხით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7 კლასიფიკატორი CPV-09132100 - არაეთილირებული ბენზინი, CPV-09134200 - ევროდიზელი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ბენზინი (პრემიუმი - არანაკლებ 95 ოქტანობის) 1481 (ერთი ათას ოთხასოთხმოცდაერთი) ლიტრი და ევრო დიზელი (PPM 50-ზე ნაკლები) 640 (ექვსასორმოცი) ლიტრი შესყიდვა (შემდგომში „საქონელი") CPV- 09100000 (დანართი №1-ის შესაბამისად).

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 5018,73 (ხუთი ათას თვრამეტი ლარი და 73 თეთრი)ლარს.

3.2. 1 (ერთი) ლიტრი ბენზინი პრემიუმის ფასია 2,33 (ორი ლარი და 33 თეთრი) ლარი.

3.3. 1 (ერთი) ლიტრი ევროდიზელის ფასია 2,45 (ორი ლარი და 45 თეთრი) ლარი.

3.4. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს, მათ შორის დ.ღ.გ.-ს აგრეთვე საწვავის მიწოდებასთან დაკავშირებულ ყველა თანმდევ ხარჯს, მათ შორის საწვავის შენახვის ხარჯებს ავტოგასამართი სადგურებიდან მის გაცემამდე.

4 ანგარიშწორების ფორმა და ვადები

4.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში.

4.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების შემდეგ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტისა და ან/სპეციალური საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

4.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება შემსყიდველის მიერ შესაბამისი საგადახადო ანგარიშფაქტურის დადასტურებიდან 1 (ერთი) სამუშაო დღის ვადის გათვალისწინებით.

5. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 საქონელი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების/მიმწოდებლის ვირტუალურ ანგარიშზე ასახვის ან პლასტიკური ბარათზე ასახვის შემდგომ.

5.2 შემსყიდველის მხრიდან მიმწოდებელთან ურთიერთობისას უფლებამოსილ პირს წარმოადგენს საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის პირველადი სტრუქტური ერთეულის ხელმძღვანელი - თემური ტატულაშვილი (აღნიშნულზე პასუხისმგებლობა ეკისრება შემსყიდველს).

6. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

6.1 საწვავის მიწოდებას მიმწოდებელი უზრუნველყოფს საწვავის ტალონური/საბარათე/ვირტუალური სისტემით, მიმწოდებლის ავტოგასამართი სადგურების ქსელის მეშვეობით. საწვავის ტალონების/ბარათის მიწოდება განხორციელდება მისამართზე: ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი,ჩოლოყაშვილის ქ. №1.

6.2 მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველის (როგორც წერილობითი ასევე ზეპირი) მოთხოვნიდან 2 (ორი) დღეში დაუმზადოს და გადასცეს შემსყიდველს (მის მიერ უფლებამოსილ პირს) მოთხოვნილი რაოდენობის საწვავის ტალონები,

პლასტიკური ზარათები ან გაუხსნას ვირტუალური ანგარიში. ტალონის/ზარათის/ვ.ანგარიშზე გადაცემის შემდეგ მათი დაკარგვის, დაზიანების ან განადგურების რისკი გადადის შემსყიდველზე, ამასთან უკვე გაცემული ტალონები არ ექვემდებარება დაბრუნებას ან სხვა სახეობის საწვავის ტალონებზე გადაცვლას. ყოველ ტალონზე აღნიშნული უნდა იყოს: მიმწოდებლის ლოგო წარწერით „სოკარი", ტალონის ნომერი, საწვავის სახეობა, საწვავის რაოდენობა.

6.3 შემსყიდველისათვის გადაცემული ტალონები/ზარათები გააქტიურდება და მათი გამოყენება შესაძლებელი იქნება მხარეთა შორის ტალონების გადაცემის თაობაზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისთანავე. ამასთან, შემსყიდველს არ აქვს უფლება მოითხოვოს დაკარგული ტალონების სანაცვლოდ ახალი ტალონების ან/და საწვავის გაცემა.

6.4 ავტოგასამართ სადგურზე ტალონების/ზარათის წარმოდგენისთანავე შემსყიდველი ან მისი წარმომადგენელი ვალდებულია უზრუნველყოს შესაბამისი ტევადობების ან/და ჭურჭლის წარმოდგენა.
ტალონებზე საწვავის გაცემისას ტალონის ნაწილობრივი განაღდება ან/და ხურდის დაბრუნება არ დაიშვება.

6.5 მიმწოდებელი უფლებამოსილია დროებით (არაუმეტეს 1,5 საათისა) შეაჩეროს საწვავის გაცემა ამა თუ იმ ავტოგასამართ სადგურზე საწვავის მიღების დროს და მიღების შემდეგ, რათა უზრუნველყოფილ იქნას პერსონალის და მომხმარებლების უსაფრთხოება და საწვავის სათანადო ხარისხი.

6.6 საწვავის ტალონების/ზარათზე/ვირტუალურ ანგარიშზე მიწოდება განხორციელდება 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

7.1.1. შეამოწმოს მიწოდებული საწვავის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

7.1.2. უარი თქვას უხარისხო საწვავის მიღებაზე.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

7.2.1 წერილობით აცნობოს მიმწოდებელს საწვავის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ;

7.2.2. მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

7.2.3. დაიცვას ხელშეკრულების სხვა პირობები.

7..3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

7.3.1.მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საწვავის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

7.4.1. გააფრთხილოს შემსყიდველი საწვავის მიწოდების პროცესში შეფერხების შესახებ;

7.4.2. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს (კონტროლი) ინსპექტირება, რომლის მიზანია საქონლის შესაბამისობი დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

8.2 ხელშეკრულების 8.1 პუნქტით გათვალისწინებულ (კონტროლს) ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველის შესაბამისი უფლებამოსილი წარმომადგენელი.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის, ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დროულად მიუწოდებელი საწვავის ღირებულების 0,1%-ის ოდენობით;

9.2 გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, დროულად გადაუხდელი თანხის 0.1% ოდენობით. ასეთი უფლებით მიმწოდებელმა შეიძლება ისარგებლოს მხოლოდ საკუთარი შეხედულებისამებრ და იგი არ წარმოადგენს მის ვალდებულებას.

9.3 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 3 (სამი) პროცენტს, მხარე იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მეორე მხარეს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება, პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებებში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისაგან საწვავის ყოველი მიწოდების თაობაზე მოთხოვნის (წერილობითი ან/და ზეპირი) მიღებისას, მხარეები ვალდებულნი არიან მიმწოდებლის მიერ საწვავის მოთხოვნის მიღების დღისათვის არსებული მონაცემების გამოყენებით მოახდინონ ფასების გადაანგარიშება, ამ მუხლით განსაზღვრული წესით და თუკი ადგილი ექნება 3.1 პუნქტში მითითებული ფასების შეცვლის საფუძველს, შემდგომში სპეც.ანგარიშ ფაქტურით დაადგინონ ახალი ფასები. თუ ამ საფუძველს არ ექნება ადგილი, ძალაში დარჩება მხარეებს შორის ბოლო შეთანხმებული ფასი. ფასი ძალაში დარჩება გადაანგარიშებიდან 1 (ერთი) სამუშაო დღის ვადით. თუკი შემსყიდველი აღნიშნულ ვადაში არ მოახდენს საწვავის შესყიდვას, გადაანგარიშებული ფასები კარგავს ძალას და შემსყიდველი ვალდებული იქნება ხელახლა წარმოუდგინოს მიმწოდებელს საწვავის მოთხოვნის შესახებ განაცხადი.

10.2.ფასის შესაძლო ცვლილების შესახებ მეორე მხარის გაფრთხილება ან რაიმე სახის შეტყობინების გაგზავნა სავალდებულო არ არის.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით.

11.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ᲓᲐᲜᲘᲡᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘ DANISI MUNICIPALITY 228928391

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

შემსყიდველი	მიმწოდებელი
დმანისის მუნიციპალიტეტი მის: ქ. დმანისი, წმინდა ნინოს ქ. №41 საიდენტიფიკაციო კოდი: 228928391 საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა TRSGE22 ერთიანი ანგარიში № GE24NB0330100200165022 ტელ.: 0(360) 22-11-53 დმანისის მუნიციპალიტეტის მერი გიორგი ტატუაშვილი	შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი" მის.: ქ. თბილისი, ჩოლოყაშვილის 1 საიდენტიფიკაცო კოდი:202352514 საბანკო რეკვიზიტები: სს „საქართველოს ბანკის" ცენტრალური ფილიალი ბანკის კოდი:BAGAGE22 ანგარიშის ნომერი: GE02BG0000000233446600 ტელ.: 249 97 57 შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი"-ს მინდობილი პირი დავით თეთვაძე

დანართი #1

№	სახელმწიფო ნომერი	საწვავის ტიპი	მიწოდების სახე (ბარათის №)	განზომილების ერთეული	ლიმიტი
1	SSC-585	ბენზინი-პრემიუმი	0001008650	ლიტრი	600
2	BAK-635	ბენზინი-პრემიუმი	0001008652	ლიტრი	116
3	QCQ-726	ბენზინი-პრემიუმი	0001009097	ლიტრი	135
4	LJL- 887	ბენზინი-პრემიუმი	0001008649	ლიტრი	250
5	DMI-555	ბენზინი-პრემიუმი	0001008653	ლიტრი	380
6	PZP-847	ევროდიზელი	0001008646	ლიტრი	250
7	OPO-633	ევროდიზელი	0001008654	ლიტრი	250
8	JFJ-076	ევროდიზელი	0001008647	ლიტრი	140

დმანისის მუნიციპალიტეტის მერი

გიორგი ტატუაშვილი

შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლიუმის“
მინდობილი პირი
დავით თუთვაძე

ნებართვა # 17938

ნებართბის დასახელება	საწვავის შესყიდვა არაგამარჯვებული მიმწოდებლისაგან
მოკლე აღწერა	საწვავის შესყიდვა არაგამარჯვებული მიმწოდებლოსაგან, სატენდერო დოკუმენტაციის 5.15 პუნქტის შესაბამისად, გამარჯვებული მიმწოდებლის ავტოგასამართი სადგურის 15 კმ-იანი დაშორების შემთხვევაში, საბიუჯეტო სახსრების არარაციონალური ხარჯვის გამო
სტატუსი	თანხმობა
დამატებულია	16:53 25/12/2018
სტატუსი მინიჭებულია	17:43 25/12/2018
ტენდერის ნომერი	CON170000068
შესყიდვის ობიექტი	პრემიუმი
კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებული მიმწოდებელი	შპს "რომპეტროლ საქართველო"
კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებული მიმწოდებლის მიმდინარე თვის სახელშეკრულებო ფასი	2.01
მანძილი თქვენი ორგანიზაციის ადგილმდებარეობასა და კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებული მიმწოდებლის უახლოეს ავტოგასამართ სადგურს შორის (ერთეული კილომეტრებში)	45კმ
არაგამარჯვებული მიმწოდებლის დასახელება, რომელმაც შემოგთავაზათ ყველაზე დაბალი ფასი და რომლისგანაც გსურთ საწვავის შესყიდვა	შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი"
არაგამარჯვებული მიმწოდებლის შემოთავაზებული ფასი (წინადადება), რომლისგანაც გსურთ საწვავის შესყიდვა	2.48

მანძილი თქვენი ორგანიზაციის ადგილმდებარეობასა და კონსოლიდირებულ ტენდერში არაგამარჯვებული მიმწოდებლის უახლოეს ავტოგასამართ სადგურს შორის, რომლისგანაც გსურთ საწვავის შესყიდვა (ერთეული კილომეტრებში)	0,700
მიმდინარე თვის განმავლობაში საბიუჯეტო სახსრების მოსალოდნელი ეკონომია (ლარებში), საწვავის არაგამარჯვებული მიმწოდებლისაგან შესყიდვის შემთხვევაში	ეკონომია არ გამოდის
ბაზრის კვლევის შედეგები. გთხოვთ, მიუთითოთ სხვა არაგამარჯვებული მიმწოდებლების დასახელება (არსებობის შემთხვევაში) და მათ მიერ შემოთავაზებული ფასები (ჩამონათვალი გამოყავით მძიმეებით)	სხვა არაგამარჯვებული მიმწოდებელი დაშორებულია რაიონული ცენტრიდან 45კმ-ით
თვე, რომლის საჭიროებასაც წარმოადგენს არაგამარჯვებულთან საწვავის შესყიდვა (გთხოვთ თვეების ჩამონათვალი გამოყოთ მძიმეებით)	დეკემბერი
საწვავის რაოდენობა (ლიტრებში), რომლის შესყიდვა/ჩასხმა გსურთ არაგამარჯვებულ მიმწოდებელთან	1900
თქვენი კომენტარი	

ნებართვა # 17939

ნებართბის დასახელება	საწვავის შესყიდვა არაგამარჯვებული მიმწოდებლისაგან
მოკლე აღწერა	საწვავის შესყიდვა არაგამარჯვებული მიმწოდებლოსაგან, სატენდერო დოკუმენტაციის 5.15 პუნქტის შესაბამისად, გამარჯვებული მიმწოდებლის ავტოგასამართი სადგურის 15 კმ-იანი დაშორების შემთხვევაში, საბიუჯეტო სახსრების არარაციონალური ხარჯვის გამო
სტატუსი	თანხმობა
დამატებულია	17:03 25/12/2018
სტატუსი მინიჭებულია	17:44 25/12/2018
ტენდერის ნომერი	CON170000070
შესყიდვის ობიექტი	ევროდიზელი (გატანა ავტოგასამართი სადგურიდან)
კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებული მიმწოდებელი	შპს "რომპეტროლ საქართველო"
კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებული მიმწოდებლის მიმდინარე თვის სახელშეკრულებო ფასი	2.34
მანძილი თქვენი ორგანიზაციის ადგილმდებარეობასა და კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებული მიმწოდებლის უახლოეს ავტოგასამართ სადგურს შორის (ერთეული კილომეტრებში)	45კმ
არაგამარჯვებული მიმწოდებლის დასახელება, რომელმაც შემოგთავაზათ ყველაზე დაბალი ფასი და რომლისგანაც გსურთ საწვავის შესყიდვა	შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი"
არაგამარჯვებული მიმწოდებლის შემოთავაზებული ფასი (წინადადება), რომლისგანაც გსურთ საწვავის შესყიდვა	2.53

მანძილი თქვენი ორგანიზაციის ადგილმდებარეობასა და კონსოლიდირებულ ტენდერში არაგამარჯვებული მიმწოდებლის უახლოეს ავტოგასამართ სადგურს შორის, რომლისგანაც გსურთ საწვავის შესყიდვა (ერთეული კილომეტრებში)	0,700
მიმდინარე თვის განმავლობაში საბიუჯეტო სახსრების მოსალოდნელი ეკონომია (ლარებში), საწვავის არაგამარჯვებული მიმწოდებლისაგან შესყიდვის შემთხვევაში	ეკონომია არ გამოდის
ბაზრის კვლევის შედეგები. გთხოვთ, მიუთითოთ სხვა არაგამარჯვებული მიმწოდებლების დასახელება (არსებობის შემთხვევაში) და მათ მიერ შემოთავაზებული ფასები (ჩამონათვალი გამოყავით მძიმეებით)	სხვა არაგამარჯვებული მიმწოდებელი დაშორებულია რაიონული ცენტრიდან 45კმ-ით
თვე, რომლის საჭიროებასაც წარმოადგენს არაგამარჯვებულთან საწვავის შესყიდვა (გთხოვთ თვეების ჩამონათვალი გამოყოთ მძიმეებით)	დეკემბერი
საწვავის რაოდენობა (ლიტრებში), რომლის შესყიდვა/ჩასხმა გსურთ არაგამარჯვებულ მიმწოდებელთან	700
თქვენი კომენტარი	